ხელშეკრულება N 49
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 15 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 02 დეკემბრის N01-01-6/48 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და შპს „მარი-97“, წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის იგნარი დიასამიძის სახით (მინდობილობა №190149571; 12.02.2019 წ.) (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 24900000; 31200000; 31600000; 42100000; 44100000; 44500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2233,50** ლარს.

#	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ღირ	მთ. ღირ.	CPV კოდი
1	გერმეტიკი "sista" aquar.sil 310მლ (უფერო)	ცალი	7	18	126	24951120
2	გერმეტიკი"Sista" უნივერსალი სილიკონი 280 მლ (უფერო)	ცალი	8	15	120	
3	დაისონის გერმეტიკი შავი 280მლ	ცალი	10	10	100	
ჯამი					**346**	**24900000**
4	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B 63 4.5KA	ცალი	3	13	39	31214100
5	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B16 4.5KA	ცალი	4	7	28	
6	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B 40 4.5KA	ცალი	4	10	40	
7	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B 50 4.5KA	ცალი	2	12	24	
8	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B 32 4.5KA	ცალი	6	7	42	
9	ავტომატური გამომრთველი LEGRAND XS3 1K B 25 4.5KA	ცალი	8	6,50	52	
10	როზეტი ^^VS` `კ\რ	ცალი	15	3,5	52,5	31224100
11	ჩამრთ VS კ\რ ერთიანი	ცალი	10	3,5	35	31212000
12	BR-1543-3 დამაგრძ 3-ნი 3 მეტრი	ცალი	10	11	110	31224810
13	BR-1543-5 დამაგრძ 3-ნი 5 მეტრი	ცალი	5	13	65	

ჯამი					**487,50**	**31200000**
14	ელექტროდი 3.2X350მმ	შეკვრა	2	25	50	31660000
15	ელექტროდი 2.5X350მმ	შეკვრა	3	20	60	
ჯამი					**110**	**31600000**
16	ARR-03 არგოს ონკანი ლატუნის ზომით.1/2	ცალი	10	8	80	42131000
17	ონკანი	ცალი	8	30	240	
18	უნიტაზის სიფონი 35 სმ KD451	ცალი	5	8	40	42132000
19	X-39 პლასტმასის სიფონი რაკოვინისთვის 120სმ	ცალი	10	5	50	
ჯამი					**410**	**42100000**
20	ქაფი ANTIA 750ML PU FOAM	ცალი	10	13	130	44192100
21	ქაფი ANTIA 850ML PREMIUM PU FOAM	ცალი	5	15	75	
22	Kettler-44535 დაწნული მილი F1/2xM10(80mm)x1 X 50CM	ცალი	20	9	180	44164200
ჯამი					**385**	**44100000**
23	კარის საკეტი 58	ცალი	3	15	45	44521110
24	კარის საკეტი 50	ცალი	3	15	45	
25	კარის საკეტი	ცალი	4	20	80	
26	კარის საკეტის გულანა 70-5K	ცალი	20	8	160	
27	საკეტის გულანა 68-3K	ცალი	10	8	80	
28	საჭრელი რგოლი 150*2,0*22,23 14 A	ცალი	15	2	30	44512900
29	საჭრელი რგოლი 230*2,0*22,23 14 A	ცალი	10	3	30	
30	საჭრელი რგოლი 180*2,0*22,23 14 A	ცალი	10	2,50	25	
ჯამი					**495**	**44500000**
	ჯამი				**2233,50**	

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

4.3. სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
7.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „მარი-97“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: 555 43-81-38
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. № 156
	საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	სს „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი - TBCBGE22
	ა/ნ – GE94TB7449836050100002
	საიდენტიფიკაციო კოდი - 445478251
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	დირექტორის მინდობილი პირი
არჩილ სირაბიძე	იგნარი დიასამიძე

Archil Sirabidze
Digitally signed by Archil Sirabidze
Date: 2022.07.15 16:52:35 +04'00'

Ignari Diasamidze 61005000751
Digitally signed by Ignari Diasamidze
Date: 2022.07.15 15:37:47